საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა

2024 წლის კოჰორტა

აგვისტო, 2026

სარჩევი

ცხრილები და დიაგრამები 3

დიაგრამები 3

ცხრილები 3

შესავალი 5

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნები 8

კურსდამთავრებულთა კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო, კონსტრუქტები და ცვლადები 11

კურსდამთავრებულთა კვლევის კონსტრუქტები და ცვლადები 11

კურსდამთავრებულთა კვლევის დიზაინი - ქსელური ინსტიტუციური მოდელი 13

კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია 15

დროის ინტერვალი პროგრამის დასრულებიდან 15

კურსდამთავრებულთა კვლევის მასშტაბი 15

კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლების განხორციელების სიხშირე 16

შერჩევა 16

მონაცემების შეგროვების მეთოდები 17

კურსდამთავრებულთა კვლევის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ასპექტები 19

ინსტიტუციური ქსელის სტრუქტურა 20

კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლის სტანდარტული პროცესები 21

კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი მახასიათებლები 22

მონაწილეები 24

კვლევის შედეგები 29

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გადაწყვეტილების მიღების მოტივაცია 29

სასწავლო გარემოს და სწავლების პროცესის შეფასება 32

სწავლის პროცესში შეძენილი/განვითარებული უნარები/ კომპეტენციები 34

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ზოგადი კმაყოფილება 36

დასაქმება 37

შემდგომი გეგმები 54

დასკვნა და რეკომენდაციები 58

ცხრილები და დიაგრამები

დიაგრამები

დიაგრამა 1: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით 25
დიაგრამა 2: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება სქესის ჭრილში 26
დიაგრამა 3: კურსდამთავრებულების პროცენტული განაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გადაწყვეტილების მიღების ძირითადი მიზეზების მნიშვნელოვნების მიხედვით..... 30
დიაგრამა 4: სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის შეფასება 32
დიაგრამა 5: შეძენილი/განვითარებული უნარებისა და კომპეტენციების შეფასება..... 35
დიაგრამა 6: კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაყოფილების პროცენტული განაწილება..... 36
დიაგრამა 7: დასაქმების დონე სწავლის დასრულების წლების მიხედვით..... 37
დიაგრამა 8: დასაქმებულთა პროცენტული წილი დასაქმების ფორმის მიხედვით..... 38
დიაგრამა 9: დასაქმებულთა პროცენტული წილი დასაქმების ფორმისა და სქესის მიხედვით 40
დიაგრამა 10. სამსახურის ძიების მეთოდების შეფასება..... 41
დიაგრამა 11. დასაქმებულთა განაწილება ორგანიზაციული ფორმის მიხედვით 42
დიაგრამა 12: საკუთარი პროფესიით დასაქმებულთა პროცენტული წილი სექტორების მიხედვით 45
დიაგრამა 13: კურსდამთავრებულთა საშუალო ანაზღაურება ეკონომიკური სექტორების მიხედვით 46
დიაგრამა 14: დასაქმების დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 48
დიაგრამა 15: შრომის ანაზღაურება სქესის ჭრილში 51
დიაგრამა 16: სამუშაოს შესასრულებლად უნარების/კომპეტენციების ფლობის მნიშვნელოვნება 52
დიაგრამა 17: კვალიფიკაციისა და სამუშაოს შესაბამისობა 53
დიაგრამა 18: სამუშაოს ძიების მიზეზები 54
დიაგრამა 19: კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი დაგეგმილი ცვლილებების ტიპის მიხედვით, %..... 55
დიაგრამა 20: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, %..... 57

ცხრილები

ცხრილი 1: კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი ეტაპები და განრიგი..... 21
ცხრილი 2: საქართველოში კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი მახასიათებლები 23
ცხრილი 3: კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება წინარე განათლების მიღწეული დონის მიხედვით 27

ცხრილი 4: დასაქმებულთა პროცენტული განაწილება ეკონომიკური სექტორის მიხედვით . 43
ცხრილი 5: დასაქმებულთა განაწილება სამუშაო პოზიციების მიხედვით, %..... 47
ცხრილი 6: დასაქმებულთა პროცენტული განაწილება შემოსავლის ჯგუფების მიხედვით, % 49
ცხრილი 7: კურსდამთავრებულთა საჭიროებები 56

შესავალი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა (Tracer study) ინფორმაციის შეგროვების სისტემური მიდგომაა, რომლის საშუალებითაც იქმნება ახალი ცოდნა: როგორც სასწავლო პროგრამაზე სწავლის მოკლე და გრძელვადიანი შედეგების, ისე შრომის ბაზარზე არსებული ტენდენციების შესახებ.[1]

პროფესიული განათლების სისტემების განვითარების კონტექსტში თანდათანობით იზრდება ინტერესი კურსდამთავრებულთა კვლევის მიმართ, რადგან იგი შრომის ბაზრისათვის საჭირო კომპეტენციებისა და ადამიანური კაპიტალის ფორმირებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას უზრუნველყოფს.[2] „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია“ (2022-2030) და „პროფესიული განათლების სტრატეგიაც“ (2024-2030) მკაფიოდ აჩვენებს კურსდამთავრებულთა კვლევის მნიშვნელოვნებას საქართველოში.[3]

მოცემული კვლევა წარმოადგენს საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის ახალი, ე.წ. ქსელური ინსტიტუციური მოდელის დანერგვის მეოთხე ციკლს, რომელიც მსოფლიოში აპრობირებულ მეთოდოლოგიასა და ფართომასშტაბიანი ქსელური საერთაშორისო ინიციატივების საუკეთესო გამოცდილებას ეყრდნობა.[4]

ქსელური ინსტიტუციური მოდელი გულისხმობს სტანდარტიზებული, მსოფლიოში აპრობირებული ინსტრუმენტების გამოყენებას და თავად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების აქტიურ მონაწილეობას კურსდამთავრებულებისაგან მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების პროცესში.

კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი ეყრდნობა ევროპაში პროფესიული განათლების სფეროში მნიშვნელოვანი აქტორების (შრომის საერთაშორისო

[1] European Commission (2020). Mapping the state of graduate tracking policies and practices in the EU Member States and EEA countries.
[2] https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32017H1209%2801%29#ntr12- C_2017423EN.01000101-E0012
[3] https://mes.gov.ge/content.php?id=7755&lang=geo
[4] Renewed agenda for higher education (2017), Expert group on Graduate Tracking (2018-2020).

ორგანიზაციის (Interntional Labor Organization (ILO)), ევროპის განათლების ფონდის (European Training Foundation (ETF)), ევროპის პროფესიული განათლებისა და ტრენინგების ცენტრის (CEDEFOP) მიერ შემუშავებულ შემდეგ რეკომენდაციებს: [5]

- **სამიზნე პოპულაცია:** მხოლოდ ერთი კოჰორტის კურსდამთავრებულების შერჩევა. კურსდამთავრებულთა კვლევა, რომელიც მოიცავს მხოლოდ ერთი კოჰორტის კურსდამთავრებულებს, უფრო მარტივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, ვიდრე შერეული. ერთი კოჰორტისთვის განათლება და შრომის ბაზრის მდგომარეობა მსგავსია, მაშინ როცა შერეული კოჰორტის გამოკითხვაში სხვადასხვა კონტექსტი უნდა იქნას გათვალისწინებული შედეგების ინტერპრეტაციისას. შერეული კოჰორტის გამოკითხვაში არა მხოლოდ განათლებისა და შრომის ბაზრის კონტექსტი შეიძლება იყოს განსხვავებული, არამედ დასაქმების ხანგრძლივობა და სამუშაო გამოცდილებაც.
- **გამოკითხვის დრო:** რეკომენდებულია, რომ გამოკითხვა ჩატარდეს სწავლის დასრულებიდან 1-2 წლის განმავლობაში. ასეთ გამოკითხვაში შესაძლებელია მოპოვებულ იქნას რელევანტური ინფორმაცია განათლებიდან შრომის ბაზარზე ტრანზიციის პროცესის შესახებ. კურსდამთავრებულთა უმეტესობას გამოკითხვის დროისთვის, სავარაუდოდ, უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა და შესაბამისად, აქვთ სამუშაო გამოცდილება, რაც შეიძლება რელევანტური იყოს განათლებასა და სამუშაოს შორის კავშირების ანალიზისთვის.
- **მონაცემთა შეგროვების მეთოდები**: კვლევისას რეკომენდებულია სტანდარტიზებული წერილობითი კითხვარის გამოყენება. აღნიშნული კითხვარი მონაცემთა შეგროვების ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რადგან უფრო მარტივი სამართავი და ჩვეულებრივ, გაცილებით უფრო ნაკლებ

[5] ETF, Cedefop, ILO (2017). Carrying out tracer studies: guide to anticipating and matching skills and jobs: volume 6.

ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე სხვა მეთოდები. განსაკუთრებით მაშინ, როცა კითხვარის ადმინისტრირება ხდება ონლაინ რესურსის მეშვეობით, ვინაიდან მონაცემთა შეყვანა და ანალიზი მოითხოვს ნაკლებ დროსა და ძალისხმევას.

- **კითხვარის მოცულობა**: რეკომენდებულია დაახლოებით 12-16 გვერდიანი კითხვარის შემუშავება. მცირე მოცულობის კითხვარი ნაკლებად გამოსადეგია ინსტიტუციური კურსდამთავრებულთა კვლევებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავენ სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებას. პრაქტიკული დასკვნები, რომლებიც ეფუძნება კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებს საჭიროებს ბევრი ფაქტორის გათვალისწინებას. დასაქმებასთან დაკავშირებული მრავალი ასპექტი (არა მხოლოდ დასაქმების სტატუსი და ხელფასი) უნდა გაიზომოს და დაუკავშირდეს საგანმანათლებლო, ინდივიდუალურ და კონტექსტუალურ ფაქტორებს.
- **კურსდამთავრებულთა კვლევების სიხშირე:** კურსდამთავრებულთა კვლევები უნდა ჩატარდეს რეგულარულად. ყოველწლიური ინსტიტუციური კურსდამთავრებულთა კვლევები იძლევა შედეგების შედარების საშუალებას დინამიკაში.

მიმდინარე კურსდამთავრებულთა კვლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2024 წლის კურსდამთავრებულების აზრის შესწავლას გულისხმობდა. საველე სამუშაოები განხორციელდა 2025 წლის ნოემბერი-დეკემბერი პერიოდში.

კურსდამთავრებულებს შეეძლოთ კითხვარის შევსება ელექტრონულად, დისტანციურად, კომპიუტერის ან მობილური ტელეფონის გამოყენებით.

მოცემული ანგარიში მიმოიხილავს პროფესიული განათლების ყველა დარგის ფარგლებში არსებულ ზოგად ტენდენციებს კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათი შეფასებით სწავლით კმაყოფილებისა და კარიერული განვითარების მიმართულებით.

კვლევის ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი განმახორციელებელი დაწესებულების შესახებ. ეს მონაცემები, კვლევის დიზაინის თანახმად, კონფიდენციალურია. ისინი გამოიყენება ორგანიზაციების შიდა განვითარების მიზნებისთვის და პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციების ინდივიდუალური განვითარების გეგმების შესამუშავებლად, ასევე, პროფესიული განათლების პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელებისათვის.

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის მიზნებს მრავალდონიანი სტრუქტურა აქვს. კვლევის შედეგები გამოიყენება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში როგორც მიკრო (ცალკეული პროგრამის და ინსტიტუციის), ისე მეზო (სექტორის) ან მაკრო (სახელმწიფოს) დონეზე. შესაბამისად, ეს მიზნები, კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება დავუკავშიროთ უშუალოდ სასწავლო პროგრამის, საგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული განათლების სისტემის, დარგის ან მთლიანად სამუშაო ბაზრის განვითარების საჭიროებებს.[6]

მაკრო დონეზე კურსდამთავრებულთა კვლევები ემსახურება:

- კურსდამთავრებულთა დასაქმების პროფილის ანალიზს მიღებულ კვალიფიკაციასთან მიმართებით და მათ მიერ სამუშაო ადგილებზე საკუთარი უნარებისა და ცოდნის თავსებადობის/შეუსაბამობის სუბიექტურ შეფასებას;
- განათლების ასპექტების შესწავლას კურსდამთავრებულთა ინდივიდუალური პერსპექტივიდან;

[6] Cedefop, Eurofound (2018). Skills forecast: trends and challenges to 2030. Luxembourg: Publications Office. Cedefop reference series; No 108

- ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტების, როგორიცაა სქესი, წინმსწრები განათლება და სხვა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების გავლენის შეფასებას დასაქმებაზე, დასაქმების პირობებსა და კარიერულ განვითარებაზე;
- ქვეყნის ან სექტორის დონეზე პროფესიულ განათლებაში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგების შეფასებას.[7] [8] [9] ამ დონეზე ანალიზის ფარგლებში, აგრეთვე, საინტერესო ასპექტებს წარმოადგენს კომპეტენციების ე.წ. ჰორიზონტალური და ვერტიკალური თავსებადობა. ჰორიზონტალურ თავსებადობაში იგულისხმება შეძენილი კომპეტენციების რელევანტურობა სამუშაო კონტექსტთან. ვერტიკალური თავსებადობა გულისხმობს სასწავლო პროგრამის დონის შესაბამისობას სამუშაო პოზიციასთან.[10] [11]

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ცალკეული დაწესებულებების დონეზე კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები გვაწვდის ინფორმაციას სასწავლო რესურსების, პირობებისა და სასწავლო პროცესის მახასიათებლების შესაძლო გავლენის შესახებ. ამ მიმართულებებით მნიშვნელოვან ქვეგანზომილებებს წარმოადგენს: სასწავლო გეგმის მახასიათებლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვა რესურსები, სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული კლიმატი და ორგანიზაციული კულტურა, კურსდამთავრებულთა ქსელები და მათი კავშირები საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.[12] [13] [14]

---

[7] Altonji, J. G. (1993). The demand for and return to education when education outcomes are uncertain. Journal of Labor Economics, 11(1, Part 1), 48-83.

[8] ETF, Cedefop, ILO (2017). Carrying out tracer studies: guide to anticipating and matching skills and jobs: volume 6.

[9] Hampf, F., Wiederhold, S., & Woessmann, L. (2017). Skills, earnings, and employment: exploring causality in the estimation of returns to skills. Large-scale Assessments in Education, 5(1), 1-30.

[10] Cedefop (2021). Understanding technological change and skill needs: skills surveys and skills forecasting. Cedefop practical guide 1. Luxembourg: Publications Office.

[11] Cedefop. (2015a). Handbook for VET providers. Cedefop Reference series. Luxembourg: Publications Office of the European Union. Luxembourg: Publications Office.

[12] Coates, H. (2009). Building quality foundations: Indicators and instruments to measure the quality of vocational education and training. Journal of Vocational Education and Training, 61(4), 517-534.

[13] Dumbrell, T. (2000). Measuring the outcomes of vocational education and training. Leabrook, South Australia: National Centre for Vocational Education Research.

[14] ETF (2014b). Quality assurance in Vocational Education and Training. A collection of articles.

კურსდამთავრებულთა კვლევის მნიშვნელოვან სპეციფიკურ მახასიათებელს წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების „რეტროსპექტული“ შეფასება. ის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პროფესიული განათლების შედეგების სხვადასხვა ასპექტის შესახებ, რაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებასა და განვითარებას. კვლევა ხორციელდება ყოველწლიურად, რაც უზრუნველყოფს არსებული მდგომარეობის ანალიზის შესაძლებლობას დინამიკაში, პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

სქემა 1 აჯამებს კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითად განზომილებებს და პროფესიული განათლების პოლიტიკის იმ არეებს, სადაც გამოიყენება კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები.

სქემა 1. კურსდამთავრებულთა კვლევის განზომილებები და პოლიტიკის არეები, სადაც გამოიყენება კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები



კურსდამთავრებულთა კვლევის კონცეპტუალური ჩარჩო, კონსტრუქტები და ცვლადები

კურსდამთავრებულთა კვლევა, როგორც აღწერითი, ისე ახსნითი ხასიათის კვლევაა, რომელიც კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი ცვლადების მიხედვით სურათის დეტალურად დახასიათების შესაძლებლობას იძლევა. იგი შეიცავს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის მათ შორის, თავად კურსდამთავრებულთათვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციისთვის, დამსაქმებლისთვისა და ზოგადი პოლიტიკის დონეზე გადაწყვეტილების მიმღებთათვის მნიშვნელოვან და მრავალფეროვან ინფორმაციას, როგორც დასაქმებისა და სამუშაოს სპეციფიკის, ისე პროფესიული განათლების სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

კურსდამთავრებულთა კვლევის კონცეპტუალური ლოგიკა ეყრდნობა ე.წ. სისტემურ მოდელს. ამ მოდელის ძირითად დაშვებას წარმოადგენს ის, რომ ნებისმიერი ტიპის ამონაგები, რომელიც განისაზღვრება კურსდამთავრებულთა კომპეტენციებით დასაქმების მაჩვენებლებითა და შრომის ბაზარზე მათი ინტეგრაციის ხარისხით განპირობებულია შენატანით. აღნიშნული, თავის მხრივ, მოიცავს ფინანსურ, ადამიანურ და ინფრასტრუქტურულ რესურსებს, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო პროცესის განსახორციელებლად, ასევე, აღსანიშნავია პროცესის მახასიათებლები, რომელიც მოიცავს სასწავლო მეთოდოლოგიას, პროგრამის მართვასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

კურსდამთავრებულთა კვლევის კონსტრუქტები და ცვლადები

კვლევის მიზნების კომპლექსურობიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულთა კვლევის მსოფლიოში აპრობირებული ინსტრუმენტების საბაზო მოდული 100-მდე სხვადასხვა ცვლადს აერთიანებს, რომლებიც რამდენიმე მნიშვნელოვან განზომილებაში შეიძლება დაჯგუფდეს.

1. **კურსდამთავრებულის სოციო-დემოგრაფიული მონაცემები:** კურსდამთავრებულის სქესი, ასაკი, წინარე და შემდგომი განათლება (პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, სწავლის პარალელურად, სწავლის დასრულების შემდეგ), საცხოვრებელი ადგილი, დასაქმება, სამომავლო გეგმები.

2. **პროგრამაზე სწავლის გამოცდილება (რეტროსპექტიული შეფასება):** ამ მიმართულების ფარგლებში ძირითადი ქვესაკითხებია:

   - სწავლა-სწავლების თავისებურებების შეფასება (სწავლების მეთოდები და მიდგომები, პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერაქცია, პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენცია, სასწავლო მასალები);

   - სწავლის პროცესის ხელშემწყობი ორგანიზაციული სტრუქტურისა და სერვისების შეფასება (პრაქტიკის კომპონენტის ფასილიტაცია, კარიერული განვითარების მხარდაჭერა, სწავლის პროცესის მხარდაჭერა, მხარდამჭერი ინფრასტრუქტურა, პროფესიული სტუდენტების ჩართულობა პროგრამებისა და სერვისების განვითარების შეფასებასა და დაგეგმვაში).

3. **სწავლის შედეგები:** პროფესიული ცოდნის, პროფესიული უნარების, ზოგადი უნარებისა და დამოკიდებულებების (კომპეტენციების) რელევანტურობის შეფასება სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან და ინდივიდუალური განვითარების მიზნებთან მიმართებით.

4. **დასაქმება და სამუშაო პირობები**: ეს განზომილება, თავის მხრივ, მოიცავს:

   - ამჟამინდელი სამუშაო სტატუსი და შრომითი კმაყოფილება: სამუშაოს შესაბამისობა მიღებულ კვალიფიკაციასთან, სამუშაო პოზიცია, დასაქმების სფერო, კომპეტენციების გამოყენება სამუშაოს შესრულებისას, საჭირო კომპეტენციები, საგანმანათლებლო პროგრამის როლი დასაქმებაში.

კურსდამთავრებულთა კვლევის დიზაინი - ქსელური ინსტიტუციური მოდელი

კურსდამთავრებულთა კვლევის მოდელი წარმოადგენს ე.წ. ქსელურ ინსტიტუციურ მოდელს, რომელიც ცენტრალიზებული და ინსტიტუციური (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზე) ადმინისტრირებული მოდელების ჰიბრიდულ ვერსიად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ქსელური ინსტიტუციური მოდელი არის კვლევითი მიდგომა, რომელიც ორგანიზაციებსა და ინსტიტუციებს შორის ურთიერთქმედებასა და თანამშრომლობაზე აკეთებს აქცენტს. ეს მოდელი განსაკუთრებით ეფექტიანია ისეთ სფეროებში, სადაც ისეთი რთული და მრავალდონიანი სტრუქტურები მოქმედებს, როგორიცაა, მაგალითად, განათლება.

ქსელური ინსტიტუციური მოდელი პროფესიული განათლების სექტორში ხელს უწყობს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობასა და პარტნიორობას. მოდელის პრაქტიკულ ღირებულებას განაპირობებს ის, რომ სხვადასხვა ინსტიტუციას შორის თანამშრომლობით შესაძლებელია ფართო სპექტრის მონაცემების მოპოვება. აგრეთვე, სიღრმისეულად ხდება კურსდამთავრებულთა უნარების, კარიერული განვითარებისა და დასაქმების შეფასება.

ქსელურ მოდელში გაერთიანებულია ის ძირითადი უპირატესობები, რომლებიც ცენტრალიზებულ და ინსტიტუციურ მოდელებს ახასიათებს. კერძოდ:

- ცალკეულ დაინტერესებულ მხარეს (პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას) აქვს შესაძლებლობა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს როგორც კვლევის დიზაინის შემუშავების, ისე მონაცემების ანალიზისა და ინტერპრეტაციის პროცესში, თუმცა, კვლევის პროცესი და მონაცემების ანალიზი მიმდინარეობს უნიფიცირებული მიდგომებისა და ხარისხის შეთანხმებული სტანდარტების გათვალისწინებით.

- მაკრო დონეზე ზოგადი ინფორმაციის გარდა ასეთი მოდელი, რიგ შემთხვევაში, მონაცემების მიკრო და მეზო დონეებზე სეგრეგირების შესაძლებლობასაც ქმნის, მაგალითად, ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის, საგანმანათლებლო დაწესებულების, სწავლის სფეროს მიხედვით.
- კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით, ერთი მხრივ, ეს მოდელი ხელს უწყობს ხარისხის საერთო სტანდარტების ფორმირებას და დაცვას საერთო მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებისა და შესაბამისი მონიტორინგის გზით. თუმცა, მეორე მხრივ, იგი მოიაზრებს ცალკეული ინსტიტუციის კომპეტენციების განვითარებას, რადგან ამ მოდელში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება კვლევის დიზაინის თანაშემქმნელად და საველე სამუშაოების განმახორციელებლად გვევლინება.

კურსდამთავრებულთა კვლევების ქსელური ინსტიტუციური მოდელი აერთიანებს საქართველოში მოქმედ ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც თანამშრომლობენ კურსდამთავრებულთა კვლევების განხორციელების პროცესში.

თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები გულისხმობს შემდეგს:

- კითხვარის ე.წ. საბაზო მოდულის შემუშავება ერთობლივად, რომელიც ყველა პსდ-თვის საერთოა.
- მონაცემების შეგროვება ყველა პსდ-ში მიმდინარეობს საერთო ვადებისა და ეტაპების გათვალისწინებით.
- მონაცემების მთავარი ნაკადის დამუშავება ხდება უნიფიცირებულად - არსებობს ერთიანი მონაცემთა ბაზა, თუმცა, თითოეული დაწესებულების მონაცემი კონფიდენციალურია. ყველას აქვს შესაძლებლობა მიიღოს საკუთარი დაწესებულების ნედლი მონაცემები.

- ქსელის ფარგლებში იმართება შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრები, პსდ-ებს ეწევათ ტექნიკური დახმარება მონაცემების დამუშავების პროცესში.
- ქსელის მიზანია კურსდამთავრებულთა კვლევის პროფესიონალიზაცია და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევის საკითხებში კომპეტენტური გუნდის ფორმირება.

კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია

დროის ინტერვალი პროგრამის დასრულებიდან

კურსდამთავრებულთა კვლევის მიმართულებით საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციით, პროგრამის დასრულებიდან კვლევაში მონაწილეობამდე დროის ინტერვალი არ უნდა იყოს ერთ წელიწადზე მცირე და ორ წელიწადზე მეტი. პროგრამის დასრულებიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ შეუძლებელია პროგრამის შედეგების სრულფასოვნად შეფასება, რადგან კურსდამთავრებულთა დიდ ნაწილს ჯერ არ აქვს საკმარისი სამუშაო გამოცდილება. მეორე მხრივ, პროგრამის დასრულებიდან დიდი დროის გასვლის შემდეგ, იზრდება კურსდამთავრებულის კარიერულ განვითარებაზე სხვა, პროგრამისგან დამოუკიდებელი, ფაქტორების ეფექტი. გარდა ამისა, რთულდება კურსდამთავრებულებთან დაკავშირებისა და მათი კვლევაში ჩართვის საკითხების მოგვარება.

კურსდამთავრებულთა კვლევის მასშტაბი

ინსტიტუციური ქსელური მოდელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ კვლევის ფარგლებში შესაძლებელია მონაცემების მოპოვება სტრუქტურული იერარქიის ყველაზე მცირე ერთეულის - საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე.

მონაცემების ერთიან ბაზაში აკუმულირების შედეგად, ამგვარი დეტალიზაციით შეგროვებული მონაცემები შემდგომში შესაძლებელია გაერთიანდეს სხვადასხვა კომბინაციით (კვლევის საჭიროებებიდან და ცვლადების სპეციფიკიდან გამომდინარე), მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულების, სწავლის სფეროს დონეზე.

კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლების განხორციელების სიხშირე

პროფესიული საგანანმათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევები ხორციელდება ყოველწლიურად. იგივე რეკომენდაცია (ყოველწლიური ციკლების განხორციელება) არის გაცემული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ევროპის განათლების ფონდის მიერ.

შერჩევა

ვინაიდან კვლევის დიზაინის ფორმატად საქართველოში შერჩეულია ქსელური ინსტიტუციური მოდელი, რაც კვლევის ადმინისტრირებას ცალკეული ინსტიტუციის დონეზე მოიაზრებს, მეთოდოლოგია გულისხმობს ერთი კოჰორტის ფარგლებში კურსდამთავრებულთა სრული აღწერის განხორციელებას (ყველა კურსდამთავრებულის კვლევაში მოწვევას). ასევე, რეპრეზენტატულობის უზრუნველსაყოფად, განსაზღვრული იყო კურსდათავრებულთა მინიმალური რაოდენობა როგორც მთლიანი კოჰორტის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჭრილში.

კვლევის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო ის გარემოება, რომ კვლევაში მოწვეულ კურსდამთავრებულთაგან მონაწილეობას მიიღებდა მხოლოდ ნაწილი.

რისკის მინიმიზაციის მიზნით კვლევაში ჩართული ინსტიტუციები გარკვეულ დამატებით ღონისძიებებს მიმართავდნენ, რაც გულისხმობდა კურსდამთავრებულთა

რამდენჯერმე მოწვევას (სულ მცირე ორი შეხსენების გაგზავნას ერთ-ორ კვირიანი შუალედებით).

საერთაშორისო გამოცდილება მიუთითებს, რომ შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში პასუხების საშუალო წილი კვლევებში საშუალოდ 30-50%-ს შეადგენს.

როგორც უკვე აღინიშნა, კვლევების დიდი ნაწილი ხორციელდება შერჩევითი გამოკვლევის საფუძველზე, რომლის დროსაც უმეტეს შემთხვევაში ირჩევა გენერალური ერთობლიობის 10 პროცენტზე ნაკლები, მოცემულის დადებითი მხარე, უპირველეს ყოვლისა, ნაკლები დანახარჯებია, თუმცა, უარყოფით მხარეს წარმოადგენს შერჩევითი ცდომილება. პრობლემის მინიმიზაციის მიზნით, კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა კვლევის ინსტიტუციური მოდელი, რომელიც კვლევაში კოლეჯების მაქსიმალურ ჩართულობასა და მოცემულ პერიოდში კურსდამთავრებულთა მაქსიმალური რაოდენობის გამოკითხვას გულისხმობდა. აღნიშნულის საფუძველზე საბოლოოდ **გამოპასუხების დონემ გენერალური ერთობლიობის 43.9% შეადგინა.** გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში, თითოეული დაწესებულებისათვის განსაზღვრული იყო პროგრამების მიხედვით გამოკითხულ კურსდამთავრებულთა მინიმალური ზღვარი, რაც უზრუნველყოფდა საბოლოო შედეგების 95 პროცენტიან სანდოობას.

მონაცემების შეგროვების მეთოდები

კურსდამთავრებულთა კვლევაში მონაცემების შეგროვების ძირითად მეთოდს წამოადგენს Computer assisted self-interviewing (CASI). აღნიშნული მეთოდის საფუძველზე რესპონდენტი კითხვარს თავად ავსებს კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდის გამოყენების ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რესპონდენტის აღქმისა და ცოდნის უნარებზე, რადგან მას უნდა

შეეძლოს, როგორც წერა-კითხვა და წაკითხულის სწორად გაგება, ისე კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობა.

ამ მეთოდის გამოყენება დაკავშირებულია ნაკლებ ფინანსურ ხარჯთან, რადგან გამოკითხვის მეთოდი არ მოითხოვს ინტერვიუერის ჩართულობას. ონლაინ გამოკითხვის პოპულარობა მნიშვნელოვნად უკავშირდება ინტერნეტის გამოყენების სიხშირეს, რაც ყოველდღიურად მზარდია. თუმცა, აღნიშნულ მეთოდს ახასიათებს გამოპასუხების დაბალი დონე და რესპონდენტების მიერ კითხვარის შევსების ნაკლები გამოცდილება.

ამ რისკების შესამცირებლად კვლევის ფარგლებში:

- საჭიროების შემთხვევაში, რესპონდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყო ონლაინ ან სატელეფონო დახმარება;
- განხორციელდა პორტალზე ატვირთული ინფორმაციის მონიტორინგი და არასრული მონაცემების წილის შემცირების ღონისძიებები;
- რესპონდენტებს შეეძლოთ კითხვარის შევსება, როგორც კომპიუტერის, ისე მობილური ტელეფონის გამოყენებით; კითხვარში მოცემული იყო მკაფიო და ამომწურავი ინსტრუქციები, კითხვები დაჯგუფებული იყო მარტივად აღსაქმელ, შინაარსობრივად შეკრულ ერთეულებად;
- მოხდა საერთო ცვლადების გადამოწმება კურსდამთავრებულთა საწყის ბაზასთან, ასევე, ლოგიკური და ტექნიკური უზუსტობების კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტება და შესაბამისად, რედაქტირება.

კურსდამთავრებულთა კვლევის ონლაინ ფორმატში განხორციელების მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ კითხვარის შევსებისას მოქმედებს ე.წ. „თვითშერჩევის პრინციპი“ - კურსდამთავრებულები თავად იღებენ გადაწყვეტილებას, მიიღონ თუ არა მონაწილეობა კვლევაში. შესაბამისად, არსებობს იმის რისკი, რომ გამოკითხვაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის

რესპონდენტები, რომლებიც უფრო მოტივირებულები არიან, შეინარჩუნონ კომუნიკაცია პსდ-თან, უფრო ლოიალურად არიან განწყობილნი პროგრამის მიმართ და სხვა. ეს გარემოება, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კვლევის ვალიდობაზე - შედეგები შესაძლოა ასახავდეს კურსდამთავრებულთა მხოლოდ ნაწილის მოსაზრებებს და არ იყოს მთლიანი კოჰორტის აზრის ამსახველი. შესაბამისად, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ონლაინ გამოკითხვის ზემოხსენებული შეზღუდვა.

კურსდამთავრებულთა კვლევის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული ასპექტები

მრავალ უპირატესობასთან ერთად, ქსელური ინსტიტუციური დიზაინი გარკვეულ გამოწვევებსაც უკავშირდება. მაგალითად, ამ დიზაინის მთავარ დაშვებას წარმოადგენს ის, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლები თავად უნდა ფლობდნენ საჭირო კომპეტენციების მინიმუმს კვლევის დიზაინის, ადმინისტრირებისა და შედეგების დამუშავების პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის. ხოლო ინსტიტუციის დონეზე არსებობს შესაბამისი გუნდი, რომელიც მონაწილეობას იღებს კვლევის ინსტიტუციურ და ქსელურ ღონისძიებებში.

ქსელური დიზაინის წარმატებით ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის მოხდა კვლევასთან დაკავშირებული ძირითადი პროცესებისა და პროცედურების სტანდარტიზაცია, შეიქმნა ამ პროცესების დეტალური აღწერები. ქსელში ჩართულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ეწეოდათ კონსულტაცია მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო, **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების**

განმახორციელებელი დაწესებულებების 70.3% ჩაერთო აღნიშნულ კვლევაში, რომელთაც ჰყავდათ შესაბამისი პერიოდის კურსდამთავრებული.

ინსტიტუციური ქსელის სტრუქტურა

როგორც უკვე აღინიშნა, ინსტიტუციური ქსელური მოდელი კურსდამთავრებულთა კვლევის ცენტრალური და ინსტიტუციური ფორმების ჰიბრიდულ მოდელს წარმოადგენს, სადაც კვლევის ციკლის ყველა ეტაპი (დაგეგმვა, განხორციელება, შედეგების ანალიზი და კომუნიკაცია) მიმდინარეობს შეთანხმებულად, როგორც ცენტრალურ, ისე ინსტიტუციურ დონეზე.

ქსელური ინსტიტუციური მოდელი სტრუქტურულად მრავალშრიანი და მოქნილია, რაც მას საშუალებას აძლევს, ეფექტურად მართოს რთული და დინამიური პროცესები.

ცენტრალურ დონეზე კურსდამთავრებულთა კვლევას კოორდინაციას უწევს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რომელთან ერთადაც კვლევაში ჩართულები არიან ინსტიტუციური პარტნიორები - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. პსდ-ს ფუნქციები ორ მსხვილ მიმართულებას მოიცავს: კვლევის კოორდინაციას და მონაცემების მართვას. პირველი გულისხმობს კვლევითი პროცესის დაგეგმვას, კოორდინაციასა და ანგარიშგების უზრუნველყოფას, ხოლო მეორე კვლევის ტექნიკური და ოპერაციული პროცესების განხორციელებას, მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შესაბამის მხარეებთან კომუნიკაციას.

ქსელურ დონეზე შეიქმნა წარმომადგენლობითი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ინსტიტუციურ დონეზე კვლევის კოორდინატორებით და რამდენჯერმე შეიკრიბა ადმინისტრაციული და შინაარსობრივი საკითხების განსახილველად.

ქსელის დონეზე მოხდა კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებების გაცნობა, საკვანძო გადაწყვეტილებების განხილვა და მიღება. ქსელურ დონეზე, ასევე, განხორციელდა ტექნიკური მხარდაჭერისა და ინფორმირების ღონისძიებები.

კურსდამთავრებულთა კვლევის ციკლის სტანდარტული პროცესები

კურსდამთავრებულთა კვლევის ერთი სტანდარტული ციკლის ხანგრძლივობა 6 თვეს შეადგენს და სამ ძირითად ფაზად იყოფა.

- პირველი ფაზა გულისხმობს კვლევის დიზაინსა და ინსტრუმენტებში ცვლილებების შემუშავებასა, შეთანხმებას, ასევე, კვლევისათვის მნიშვნელოვანი საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას;
- მეორე ფაზა მთლიანად ეთმობა საველე სამუშაოების განხორციელებას, ტექნიკურ მხარდაჭერასა და მონიტორინგს;
- მესამე ფაზა კვლევის ციკლის ყველაზე ხანგრძლივი ეტაპია, რომელიც აერთიანებს მონაცემთა ბაზის წმენდას, მაჩვენებლების გაანგარიშებას, კვლევის შედეგების ინტერპრეტაციას, ანგარიშის მომზადებასა და კვლევის შედეგების გაცნობას დაინტერესებული მხარეებისათვის.

ცხრილი 1: კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი ეტაპები და განრიგი

ფაზა	ძირითადი ამოცანები	ხანგრძლივობა
1. კონცეფციის და ინსტრუმენტების შემუშავება/რევიზია კურსდამთავრებულთა კვლევის მოსამზადებელი სამუშაოები	• ინსტიტუციური კვლევითი გუნდის დაკომპლექტება • მოდულების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება • ახალი მოდულების ფორმირება	2 თვე

	• ახალი მოდულების პილოტირება • საინფორმაციო და დამხმარე მასალების მომზადება • კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის ფორმირება/რევიზია	
2. მონაცემების შეგროვება	• მონაწილეთა მოწვევა • საველე სამუშაოები და მონიტორინგი • ინფორმაციის სრულყოფა	1 თვე
3. შედეგების ანალიზი	• მონაცემთა ბაზის წმენდა • მაჩვენებლების გაანგარიშება • ანგარიშების მომზადება • შედეგების გავრცელება	3 თვე

კვლევის ციკლის ჩამოთვლილ ეტაპებს მოსდევს რეფლექსიის და დაგეგმვის ფაზები, რომლებიც წინა ციკლის შედეგების შეჯამებას და მომავალი ციკლის დაგეგმვას ეთმობა.

კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი მახასიათებლები

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს კურსდამთავრებულთა კვლევის მოდელის ძირითად მახასიათებლებს. ამ მახასიათებლებს შორის უმნიშვნელოვანესია კვლევაზე მუშაობის ქსელური პრინციპი, რომელიც კვლევის ყველა მონაწილის აქტიურ ჩართულობას მოითხოვს.

ცხრილი 2: საქართველოში კურსდამთავრებულთა კვლევის ძირითადი მახასიათებლები

კვლევის ასპექტი	სპეციფიკა
კვლევის დიზაინი	ქსელური ინსტიტუციური მოდელი
კვლევის ტიპი	კოჰორტული (ცალკეული პროგრამებისთვის შესაძლოა განხილული იქნას პანელური ვერსია)
განხორციელების ციკლი	რეგულარული (ყოველწლიური ან ორ წელიწადში ერთხელ)
ინტერვალი პროგრამის დასრულებიდან	ერთი ან ორი წელი
ძირითადი მეთოდი	ანკეტირება სტრუქტურირებული კითხვარით, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით
მონაცემების საჯაროობა	ინსტიტუციური ანგარიშები მზადდება, პსდ-ების მიერ შემუშავებული კონცეფციის მიხედვით. მონაცემების გასაჯაროების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება ინდივიდუალურად ქსელის წევრების მიერ. სისტემურ ანგარიშში არ ხდება მონაცემების აგრეგირება ინსტიტუციების მიხედვით, დაცულია კონფიდენციალურობის პრინციპი.
კვლევის მასშტაბი	საგანმანათლებლო პროგრამის დონე.
შერჩევა	კვლევაში ხდება ერთი კოჰორტის ყველა კურსდამთავრებულის მოწვევა.
ადმინისტრირების ტიპი	ელექტრონული, დისტანციური.
ინსტრუმენტის სტრუქტურა	მოდულური საბაზო (ყველასათვის საერთო მოდული) და სპეციალური მოდულები, რომლებიც საჭიროებისამებრ შემუშავდება ინსტიტუციების ან მათი ჯგუფების მიერ და აისახება ინსტრუმენტში

მონაწილეები

2024 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის ფარგლებში საველე საქმიანობა განხორციელდა 2025 წლის ნოემბერი-დეკემბერი პერიოდში. 2024 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები ჰყავდა 74 საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელთაგანაც კვლევაში მონაწილეობა 52-მა დაწესებულებამ მიიღო.

2024 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა 9559 პროფესიულმა სტუდენტმა, კურსდამთავრებულთა 63.7% სწავლობდა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 36.3% - კერძოში. 2024 წელს ყველაზე მეტი კურსდამთავრებული იყო შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში: საექთნო საქმე[15] (746), ელექტროობა[16] (672), ფარმაცია[17] (658), საფინანსო სერვისები (574) და ინფორმაციის ტექნოლოგიები (495). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 4,196 კურსდამთავრებულმა, შესაბამისად, გამოპასუხების დონემ 43.9% შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია გამოკითხულ კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით.

[15] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „საექთნო საქმე“ და „საექთნო განათლება“.

[16] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ და „საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობა“.

[17] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „ფარმაცია“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“.

დიაგრამა 1: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით



დიაგრამის მიხედვით, ყველაზე მეტი კურსდამთავრებული გამოიკითხა აჭარასა და თბილისში, რაც, ბუნებრივია, გამოწვეულია ამ რეგიონებში კურსდამთავრებულთა მაღალი რიცხოვნობით. 2024 წლის კურსდამთავრებულთა მთლიანი რიცხოვნობის 31.5% თბილისში, ხოლო 20.4% აჭარაში იყო.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება სქესის ჭრილში.

დიაგრამა 2: გამოკითხულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება სქესის ჭრილში



რაც შეეხება კურსდამთავრებულთა განაწილებას სქესის მიხედვით, აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა მთლიან რიცხოვნობაში კაცების პროცენტული წილი 52.3%-ს შეადგენს, ქალების 47.7%. გამოკითხულთა შორის კი, 55.6% კაცია, 44.4% კი ქალი.

გამოკითხულთა ასაკობრივი ანალიზის მიხედვით, კურსდამთავრებულთა საშუალო ასაკი 30.8 წელი, მედიანური მნიშვნელობა - 28, ხოლო მოდალური 21 წელი შეადგინა. ყველაზე მეტი გამოკითხული, შესაბამისად, 35.1% წარმოდგენილია 19-25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების გარდა, უმნიშვნელოვანესია კურსდამთავრებულთა განათლების მიღწეული დონე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვამდე. აღნიშნული წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 3: კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება წინარე განათლების მიღწეული დონის მიხედვით

განათლების დონე	%
პროფესიული განათლება	20.2
უმაღლესი განათლება (ბაკალავრი)	19.4
უმაღლესი განათლება (მაგისტრი)	6.8
უმაღლესი განათლება (დოქტორი)	0.5
საბაზო განათლება	11.4
საშუალო განათლება	41.6

კვლევის შედეგების თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულთა უმრავლესობა საშუალო განათლების მქონე პირია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პროფესიული განათლება, როგორც კარიერული განვითარების ერთ-ერთი ალტერნატივა, პოპულარულია იმ ადამიანებისთვის, ვინც სკოლის დასრულების შემდეგ უშუალოდ კონკრეტული სფეროს სწრაფად დაუფლებასა და პროფესიით დასაქმებას განიხილავს. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ პროფესიული განათლების მიმართ მნიშვნელოვან ინტერესს იჩენენ უმაღლესი განათლების მქონე პირებიც. ეს ტენდენცია მიანიშნებს იმაზე, რომ შრომის ბაზარზე მზარდია მოთხოვნა პრაქტიკული უნარებისა და სპეციალიზებული ცოდნის მქონე კადრებზე, რაც პროფესიულ განათლებას კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად კიდევ უფრო ქმედით და აქტუალურ მექანიზმად აქცევს.

კვლევის ფარგლებში ინფორმაცია შეგროვდა დამატებითი საჭიროებების სტატუსის მქონე პირების შესახებ. კურსდამთავრებულთა 72.5%-მა დააფიქსირა, რომ მას არ აქვს მინიჭებული დამატებითი საჭიროებების მქონე პირის სტატუსი, 8.4%-მა დააფიქსირა, რომ მას აქვს სოციალურად დაუცველი პირის სტატუსი, 7.0%-ს - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, 5.1%-ს - სპეციალური

საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი, 4.0%-ს - ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილი) სტატუსი, ხოლო 1.9%-ს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი.

კვლევის შედეგები

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გადაწყვეტილების მიღების მოტივაცია

2024 წლის კურსდამთავრებულებმა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გადაწყვეტილების მიღების ძირითად მიზეზებად დაასახელეს:

- საინტერესო სასწავლო პროგრამა/პროფესია;
- დასაქმების მაღალი შანსი;
- დაწესებულების კარგი რეპუტაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მდებარეობა;
- მშობლების/ახლობლების რჩევა;
- სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადების შესაძლებლობა;
- სწავლის საფასურის არარსებობა/უფასო სწავლა;
- კარიერული განვითარების/დაწინაურების შესაძლებლობა.

დიაგრამა 3: კურსდამთავრებულების პროცენტული განაწილება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გადაწყვეტილების მიღების ძირითადი მიზეზების მნიშვნელოვნების მიხედვით



კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ პროფესიული განათლების არჩევის პროცესში პროფესიული სტუდენტები ძირითადად შინაგანი, პიროვნული მოტივებით ხელმძღვანელობენ.

ყველაზე გამოკვეთილი მიზეზი კურსდამთავრებულთა 88.0%-ისთვის სასწავლო პროგრამისა და პროფესიის საინტერესოობა აღმოჩნდა, რაც მიუთითებს, რომ განათლება რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის არა მხოლოდ დასაქმების საშუალებას, არამედ პიროვნული თვითრეალიზაციისა და პროფესიული კმაყოფილების კომპონენტს წარმოადგენს.

სწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას არსებით როლს ასრულებს ინსტიტუციური და ეკონომიკური ფაქტორებიც. კერძოდ, შედეგების თანახმად რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაციასა (84.2%) და სწავლის საფასურის არარსებობას/უფასო სწავლის

შესაძლებლობას (84.1%) სწავლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვან კრიტერიუმად აღიქვამს. პროფესიულ განათლებაზე არჩევანის გაკეთების პროცესში კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოტივატორად გამოვლინდა პროფესიული სტუდენტების კარიერული განვითარების შესაძლებლობა (79.5%).

რესპონდენტთათვის, ასევე, არსებითი მნიშვნელობისაა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მდებარეობა (77.0%), რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ტრანსპორტის ხელმისაწვდომობასთან, საცხოვრებელ პირობებთან და სასწავლო პროცესში ეფექტიან მონაწილეობასთან.

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ მშობლებისა და ახლობლების რჩევას მხოლოდ 64.4% აფასებს ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორად, რაც გვიჩვენებს, რომ პროფესიული განათლების არჩევა უმეტესად დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა და იგი ნაკლებად განისაზღვრება გარე ფაქტორებით. ამასთან, სავალდებულო სამხედრო სამსახურის გადავადება ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო პროფესიული სტუდენტების 34.0%-სათვის.

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმეტესობას (93.5%) პროგრამაზე სწავლისას არასოდეს უფიქრია სწავლის მიტოვებაზე. იმ რესპონდენტთა შორის კი, რომლებსაც სწავლის შეწყვეტაზე უფიქრიათ, ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზი პროგრამის სიმარტივე (27.4%) აღმოჩნდა. ეს მონაცემი შესაძლოა მიუთითებდეს, კურსდამთავრებულთა წინარე ცოდნაზე და ასევე ფორმალურ განათლებაში კარიერის დაგეგმვის სისტემური სერვისის გაძლიერების საჭიროებაზე.

სწავლის მიტოვებაზე ფიქრის სხვა გავრცელებულ მიზეზებს შორის ასევე გამოიკვეთა ოჯახური გარემოებები და სწავლის პარალელურად დასაქმება.

სასწავლო გარემოს და სწავლების პროცესის შეფასება

კურსდამთავრებულთა კმაყოფილების განსაზღვრა უმნიშვნელოვანესია სხვადასხვა ასპექტით, რომელთაგანაც ერთ-ერთ უმთავრესს სასწავლო გარემოს და სწავლების პროცესის შეფასება წარმოადგენს.

დიაგრამა 4: სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროცესის შეფასება



კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სწავლა-სწავლების ხარისხზე დადებითად მოქმედ ფაქტორებს შორის კურსდამთავრებულები პირველ რიგში მასწავლებელთა კვალიფიკაციას (89.6%), სწავლის ხარისხს (86.7%) და სასწავლო მასალების-აღჭურვილობების (მაგ. ლაბორატორია, წიგნები, ინტერნეტზე წვდომა, ბიბლიოთეკა და ა.შ.) ხელმისაწვდომობას (82.0%) გამოყოფენ.

კვლევის ფარგლებში ასევე გამოვლინდა, რომ სასწავლებლის მხრიდან სტაჟირების/დასაქმების/სამუშაოს ძიების პროცესში დახმარებასა (72.1%) და კარიერის მართვის სპეციალისტთან კონსულტაციის (68.4%) კომპონენტებთან მიმართებით სხვა კომპონენტებთან შედარებით დაბალია შეფასება - „ძალიან დადებითი“. ამასთან, რესპონდენტთა ნაწილი მიუთითებს, რომ საერთოდ არ გააჩნია ინფორმაცია კარიერის მართვის სპეციალისტთან კონსულტაციისა (14.6%) და სასწავლებლის მხრიდან სტაჟირების/დასაქმების/სამუშაოს ძიების პროცესში დახმარების (8.2%) შესახებ, რაც კარიერული მხარდაჭერის სერვისების თაობაზე ინფორმირებულობის გაუმჯობესების საჭიროებაზე მიუთითებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საყურადღებოა, რომ ქვეყანაში უკვე გადადგმულია ნაბიჯები კარიერული სერვისების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, ყველა საჯარო კოლეჯი უზრუნველყოფილია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის მართვის მენეჯერებით, რომლებიც მხარდაჭერას უწევენ პროფესული განათლების მიღების მსურველებსა და პროფესიულ სტუდენტებს.

კარიერული სერვისების მიმართულებით არსებული სრული სურათის აღსაქმელად, კვლევაში ყურადღება ასევე გამახვილდა სწავლის დასრულების შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაწეულ კარიერულ მხარდაჭერაზე. შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 82.9%-ს სწავლის დასრულების შემდეგ მიუღია კარიერული მხარდაჭერა, რაც მიუთითებს, რომ შესაბამისი სერვისები ხელმისაწვდომია კურსდამთავრებულთათვის სწავლის დასრულების შემდგომაც. გაწეულ სერვისებს შორის ყველაზე ხშირად სახელდება ინდივიდუალური კონსულტაციები (38.1%) და ვაკანსიების გაზიარება (37.7%).

საყურადღებოა სასწავლო პროცესს მიღმა ჩატარებული ექსტრაკურიკულური აქტივობების საკითხიც, რომელიც პროფესიული სტუდენტების სოციალიზაციასა და საკვანძო კომპეტენციების განვითარებაზეა ორიენტირებული. აღნიშნულ კომპონენტებთან მიმართებით კურსდამთავრებულთა 64.9% გამოხატავს სრულ

კმაყოფილებას, რაც ცხადყოფს ამგვარი აქტივობების შეთავაზების გაგრძელებისა და გაუმჯობესების საჭიროებას.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შშმ/სსსმ პირებისთვის ადაპტირებულობას გამოკითხულთა 74.5% ძალიან დადებითად აფასებს. აღნიშნულს ძალიან დადებითად აფასებს უშუალოდ კვლევაში ჩართული შშმ/სსსმ პირების 80.3%.

მთლიანობაში, კვლევის შედეგების თანახმად, მასწავლებელთა კვალიფიკაციის, სწავლის ხარისხისა და სასწავლო მასალების-აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის მიმართულებით კურსდამთავრებულთა შეფასება ძალიან დადებითია. თუმცა, კურსდამთავრებულთა მცირე ნაწილი მიუთითებს, რომ საერთოდ არ ჰქონდა ინფორმაცია სტუდენტთა ექსტრაკურიკულური (სასწავლო პროცესის გარე) აქტივობების, დაწესებულების შშმ/სსსმ პირებისთვის ადაპტირებულობის, კარიერის მართვის სპეციალისტთან კონსულტაციისა და სასწავლებლის მხრიდან სტაჟირების/დასაქმების/სამუშაოს ძიების პროცესში დახმარების შესახებ.

სწავლის პროცესში შეძენილი/განვითარებული უნარები/ კომპეტენციები

კვლევის ფარგლებში კურსდამთავრებულებმა შეაფასეს სწავლის პროცესში შეძენილი/განვითარებული უნარები და კომპეტენციები. ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია სწავლის პროცესში შეძენილი და განვითარებული უნარებისა და კომპეტენციების შეფასება.

დიაგრამა 5: შეძენილი/განვითარებული უნარებისა და კომპეტენციების შეფასება



ზემოთ მოცემული დიაგრამა მთლიანობაში დადებით სურათს წარმოაჩენს: სასწავლო პროცესში გუნდურად მუშაობის უნარი განივითარა გამოკითხულთა 81.3%-მა, პროფესიული ცოდნა და პროფესიული უნარები 80.4% -79.7%-მა. სამივე კომპონენტის მიმართ გამოხატული მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფს როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული კომპეტენციებისა და რბილი უნარების განვითარებას.

ამასთან, კვლევის შედეგების თანახმად, ფიქსირდება გამოკითხულთა მცირე ნაწილი, რომელმაც ვერ განივითარა გარკვეული უნარები. მაგალითად, გამოკითხულთა 5.9%-მა ვერ მოახერხა უცხო ენის ცოდნის გაღრმავება, 3.5%-მა კი კომპიუტერული უნარები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ზოგადი კმაყოფილება

ზემოაღნიშნული ინფორმაციის გარდა უმნიშვნელოვანესია კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაყოფილების განსაზღვრა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაყოფილების პროცენტული განაწილება.

დიაგრამა 6: კურსდამთავრებულთა ზოგადი კმაყოფილების პროცენტული განაწილება



დიაგრამის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ზოგადი შეფასებები 2024 წლის კოჰორტაში ძირითადად მაღალია და 0.5 პროცენტული პუნქტით აღემატება 2023 წლის კოჰორტის ანალოგიურ მაჩვენებელს (93.9%). შესაბამისად, მიმდინარე კოჰორტის ფარგლებში **გამოკითხულთაგან უმრავლესობა - 94.4% სრულიად კმაყოფილია ან კმაყოფილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლით.** ამასთან, გამოკითხულთა 82.2% სრულიად დარწმუნებულია, რომ არჩევანის ხელმეორედ გაკეთების შემთხვევაში, კვლავ აირჩევდა იმავე საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო 84.7% იმავე საგანმანათლებლო დაწესებულებას. სამივე მაჩვენებელი ერთობლივად მიუთითებს, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დადებითად აფასებს გავლილ პროგრამას.

განსაკუთრებით საინტერესოა ასაკობრივი ჭრილის ანალიზი, რომელიც პროფესიული განათლების არჩევისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით კმაყოფილების განსხვავებულ თავისებურებებს წარმოაჩენს. კერძოდ, სრულიად კმაყოფილება ყველაზე მაღალია 41 წლის და უფროსი კურსდამთავრებულების შემთხვევაში (90.8%), აგრეთვე 36-დან 41 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში (90.5%). 2023 წლის კოჰორტის მსგავსად, გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სრულიად კმაყოფილება სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით ყველაზე ნაკლებად 19 წლამდე კურსდამთავრებულებში (79.2%) ფიქსირდება.

დასაქმება

კვლევის ფარგლებში განისაზღვრება სამუშაო ძალის მაჩვენებლები სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, როგორებიცაა დასაქმების სტატუსი, როგორც სწავლის დაწყების მომენტისათვის, ასევე, მისი დასრულების შემდეგ, დასაქმებულთა პროცენტული განაწილება ეკონომიკის სექტორების, პოზიციების, ანაზღაურების, საჭირო უნარების/კომპეტენციების და შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმების დონე წლების მიხედვით.

დიაგრამა 7: დასაქმების დონე სწავლის დასრულების წლების მიხედვით



დიაგრამის თანახმად, კურსდამთავრებულთა დასაქმების დონე მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს. **2024 წლის კოჰორტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელმა 78.7% შეადგინა.** აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემებით, საქართველოში დასაქმების დონე 2024 წლისათვის 47.1%, ხოლო 2025 წლისათვის 46.9% იყო. აღნიშნული განისაზღვრება დასაქმებულთა რაოდენობის შეფარდებით 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობასთან. იმავე გამოკვლევის მიხედვით, განათლების მიღწეული დონის ჭრილში, პროფესიული განათლების მქონე პირებში დასაქმების დონე 2024 წელს 47.1%-ს, ხოლო 2025 წელს 47.5%-ს შეადგენდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა პროცენტული წილი დასაქმების ფორმის მიხედვით.

დიაგრამა 8: დასაქმებულთა პროცენტული წილი დასაქმების ფორმის მიხედვით



აღსანიშნავია, რომ სწავლის დაწყების მომენტისათვის უკვე დასაქმებულთა შორის კურსდამთავრებულთა 23.2% მუშაობდა იმ პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარა, ხოლო 10.2% თვითდასაქმებული იყო იმავე მიმართულებით.

კურსდამთავრებულთა 28.5% დასაქმებული იყო სხვა სფეროში, ხოლო 8.2% თვითდასაქმებული იყო სხვა მიმართულებით. კურსდამთავრებულთა 37.8% კი სწავლის დაწყების მომენტისათვის დაუსაქმებელი იყო. სწავლის დასრულების შემდეგ დაუსაქმებელთა პროცენტული წილი 16.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 21.3% შეადგინა. ეს ცვლილება ცხადყოფს, რომ პროგრამის გავლა დადებითად აისახა კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე ტრანზიციაზე. კერძოდ, **იმ გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთაგან, რომლებიც სწავლის დაწყებამდე არ იყვნენ დასაქმებულები, ნახევარზე მეტი (56.0%) დასაქმდა სწავლის დასრულების შემდგომ, ხოლო იმ პროფესიულ სტუდენტთაგან, რომლებიც მხოლოდ სხვა მიმართულებით იყვნენ დასაქმებული, 17.8% საკუთარი სპეციალობის შესაბამის სამუშაოზე გადავიდა.**

ამასთანავე, იმ კურსდამთავრებულთა შეფასებით, რომლებიც გამოკითხვის მომენტისათვის არ იყვნენ დასაქმებულები, შრომის ბაზარზე ტრანზიციის პროცესში დამაბრკოლებელ გარემოებებად გამოიკვეთა დაბალი ანაზღაურება და არახელსაყრელი სამუშაო პირობები.

ხაზგასასმელია ისიც, რომ, 2023 წლის კოჰორტასთან შედარებით, თვითდასაქმება როგორც საკუთარი, ისე სხვა მიმართულებით გაზრდილია. 2024 წლის კოჰორტაში თვითდასაქმებული სხვა მიმართულებით (6.2%) გაიზარდა 1.4 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 7.6%, ხოლო თვითდასაქმებული საკუთარი მიმართულებით (9.4%) ასევე გაიზარდა 0.8 პროცენტული პუნქტით და შეადგინა 10.2%.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულთა პროცენტული წილი დასაქმების ფორმისა და სქესის ჭრილში.

დიაგრამა 9: დასაქმებულთა პროცენტული წილი დასაქმების ფორმისა და სქესის მიხედვით



დიაგრამის მიხედვით, დაუსაქმებელ ქალთა წილი კაცების ანალოგიურ მაჩვენებელს 5.9 პროცენტული პუნქტით აღემატება. დასაქმების თითქმის ყველა კატეგორიაში კაცთა წილი მაღალია, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სხვა სფეროში დასაქმებულთა კატეგორია, სადაც ქალთა მაჩვენებელი კაცებისას მცირედით, 0.9 პროცენტული პუნქტით, აღემატება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სამსახურის ძიების მეთოდების შეფასება.

დიაგრამა 10. სამსახურის ძიების მეთოდების შეფასება



საინტერესოა დასაქმებულ კურსდამთავრებულთა გამოცდილება სამუშაოს ძიების მეთოდებთან დაკავშირებით. გამოკითხულთა ყველაზე დიდი წილის (23.1%) შეფასებით, სამუშაოს ძიების ყველაზე ეფექტური მეთოდია საკუთარი და ახლობლების კავშირების გამოყენება. მომდევნო ყველაზე გავრცელებულ მეთოდად სტაჟირება დასახელდა: გამოკითხულთა 22.5% სწავლის პერიოდში გავლილ სტაჟირებას მიიჩნევს სამუშაოს მოძიების წარმატებულ გზად. კურსდამთავრებულები დადებითად აფასებენ აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მხარდაჭერას - კარიერის მართვის თანამშრომლის ან/და პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობას (18.3%), ასევე ინტერნეტისა და სოციალური ქსელის გამოყენებას (17.6%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმებულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება ორგანიზაციული ფორმის მიხედვით.

დიაგრამა 11. დასაქმებულთა განაწილება ორგანიზაციული ფორმის მიხედვით



სამუშაოს ძიების მეთოდებთან ერთად, საყურადღებოა კურსდამთავრებულთა განაწილებაც ორგანიზაციული ფორმის მიხედვით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტი (52.9%) ამჟამად კერძო სექტორში, ხოლო თითქმის მესამედი (31.7%) კი საჯარო სექტორში მუშაობს. **გარდა ამისა, გამოკითხულთა 15.4% თვითდასაქმებულია (საკუთარ ბიზნესს ან ორგანიზაციას მართავს).**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დასაქმებულ კურსდამთავრებულთა პროცენტული განაწილება ეკონომიკური სექტორის მიხედვით.

ცხრილი 4: დასაქმებულთა პროცენტული განაწილება ეკონომიკური სექტორის მიხედვით

სექტორი	%
განათლება	12.3
ბიზნესი და ადმინისტრირება	10.8
ტრანსპორტის მომსახურებები	8.3
ინჟინერია და საინჟინრო საქმე	8.1
ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა	7.9
პერსონალური მომსახურებები (თმის და სილამაზის მომსახურებები; სასტუმრო, რესტორანი და კვების მომსახურებები)	7.8
წარმოება და გადამუშავება	6.0
სოფლის მეურნეობა (მეტყევეობა; მეთევზეობა; ვეტერინარია; მევენახეობა და მეღვინეობა)	5.5
არქიტექტურა და მშენებლობა	5.4
ხელოვნება	4.4
ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	3.1
ტურიზმი	2.9
სპორტი	1.8
უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები (საბაჟო საქმე)	1.7
ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	0.5

ცხრილის თანახმად, დასაქმებულ კურსდამთავრებულთა ყველაზე დიდი წილი განათლების (12.3%) და ბიზნესისა და ადმინისტრირების (10.8%) სექტორშია კონცენტრირებული.

სექტორების მიხედვით, მთელ რიგ სექტორებში დასაქმებულთა უმრავლესობას კაცები შეადგენენ: ინჟინერიისა და საინჟინრო საქმის მიმართულებით - 97.0%, ტრანსპორტის მომსახურებებში - 92.4%, არქიტექტურასა და მშენებლობაში - 90.5%,

ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიებში - 83.7%, სპორტის მიმართულებით კი 81.4%. ამასთანავე, არსებობს სექტორები, სადაც დასაქმებული ქალების პროცენტული წილი აღემატება კაცებისას, მათ შორის, ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის სექტორში დასაქმებულების 88.9% ქალია, განათლებაში - 67.9%, ხოლო პერსონალურ მომსახურებებში (თმის და სილამაზის მომსახურებები; სასტუმრო, რესტორანი და კვების მომსახურებები) 65.9% ქალები წარმოადგენენ.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მოცემულ სექტორებში საკუთარი პროფესიით დასაქმების მაჩვენებლის განხილვა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია საკუთარი პროფესიით დასაქმებულთა პროცენტული წილი სექტორების მიხედვით.

დიაგრამა 12: საკუთარი პროფესიით დასაქმებულთა პროცენტული წილი სექტორების მიხედვით



დიაგრამის მიხედვით, საკუთარი პროფესიით დასაქმების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ტრანსპორტის მომსახურებების, ინჟინერიისა და საინჟინრო საქმისა და ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის მიმართულებით, ხოლო ყველაზე დაბალია ჟურნალისტიკის და ინფორმაციის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებების (საბაჟო საქმე), ბიზნესის და ადმინისტრირების მიმართულებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია მოცემულ სექტორებში საშუალო შრომის ანაზღაურება.

დიაგრამა 13: კურსდამთავრებულთა საშუალო ანაზღაურება ეკონომიკური სექტორების მიხედვით



შრომის ანაზღაურება სექტორების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება. ყველაზე მაღალი საშუალო შრომის ანაზღაურება დაფიქსირდა არქიტექტურისა და მშენებლობის (2000.5 ლარი), ტრანსპორტის მომსახურებების (1980.6 ლარი), ინჟინერია და საინჟინრო საქმის (1964.6 ლარი) სფეროებში, ხოლო ყველაზე დაბალია ჯანდაცვის და სოციალური კეთილდღეობის (1001.5 ლარი) და განათლების (1065.0 ლარი) სექტორში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დასაქმებულთა პროცენტული განაწილება სამუშაო პოზიციების მიხედვით.

ცხრილი 5: დასაქმებულთა განაწილება სამუშაო პოზიციების მიხედვით, %

პოზიცია	%
დაბალი რგოლის თანამშრომელი (მაგ: სპეციალისტი)	30.9
შუა რგოლის თანამშრომელი (მაგ: სუპერვაიზორი)	32.1
ზედა რგოლის თანამშრომელი (მაგ: დირექტორი)	8.3
მიჭირს პასუხის გაცემა	28.6

დასაქმებულთა სამუშაო პირობებს შრომის ანაზღაურებასთან ერთად მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დაკავებული პოზიცია. ზემოაღნიშნული ცხრილის მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა დაბალი და საშუალო რგოლის პოზიციებზეა დასაქმებული, 8.3% კი ზედა რგოლის პოზიციებზე. სქესის ჭრილში პოზიციების განაწილება მეტ-ნაკლებად თანაბარია: როგორც ქალების, ასევე, კაცების უმრავლესობა დასაქმებულია დაბალი (კაცი 30.4%, ქალი 31.7%) და საშუალო (კაცი 33.7%, ქალი 30.0%) რგოლის პოზიციებზე. რაც შეეხება ზედა რგოლს, დასაქმებულ კაცთა 8.6%, ხოლო ქალთა 8.0% იკავებს მოცემულ პოზიციას.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლება დადებითად აისახება კარიერულ განვითარებაზე: **დასაქმებულ რესპონდენტთა 43.8% პროგრამის დასრულების შემდეგ დაწინაურდა.** საგულისხმოა ისიც, რომ **სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმებული კურსდამთავრებულების 53.3%-ის თანახმად, მათი შრომის ანაზღაურება გაიზარდა.**

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დასაქმების დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

დიაგრამა 14: დასაქმების დონე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დასაქმების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 19 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება, მაქსიმალურ მნიშვნელობას (89.6%) დასაქმების დონე 41 წლისა და უფროსი ასაკის ჯგუფში აღწევს. გარდა ამისა, 25 წლამდე კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დაბალი რგოლის პოზიციებზეა დასაქმებული, 25-დან 40 წლამდე ჯგუფში კი საშუალო რგოლი ჭარბობს, რაც კარიერული განვითარების ბუნებრივ მიმდინარეობას ასახავს.

როგორც უკვე აღინიშნა, დასაქმებულთა სამუშაო პირობებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შრომის ანაზღაურება. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია შრომის ანაზღაურების პროცენტული განაწილება შემოსავლის ჯგუფების მიხედვით.

ცხრილი 6: დასაქმებულთა პროცენტული განაწილება შემოსავლის ჯგუფების მიხედვით, %

შემოსავლის ჯგუფები	%
1000 ლარის ჩათვლით	33.9
1001-დან 2000 ლარი	31.4
2001-3000 ლარი	11.6
3001-დან 4000 ლარი	2.9
4001-დან 5000 ლარი	1.0
5001 ლარი და მეტი	1.7
უარი პასუხზე	17.4

ზემოაღნიშნული ცხრილის მიხედვით, ყველაზე მეტ კურსდამთავრებულს ჰქონდა ანაზღაურება 1,000 ლარის ფარგლებში. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს საშუალო შრომის ანაზღაურება, რომელიც ამ შემთხვევაში გაანგარიშდება საშუალო შეწონილი არითმეტიკულის საფუძველზე შემდეგი ფორმულით:

$$\bar{X} = \frac{\sum xf}{\sum f}$$

საშუალო შეწონილი არითმეტიკული განისაზღვრა ინტერვალური მწკრივისათვის და 1,447.6 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება შრომის ანაზღაურებას ეკონომიკური სექტორების მიხედვით, **საშუალოდ ყველაზე მაღალანაზღაურებადია არქიტექტურა და მშენებლობა, ტრანსპორტის მომსახურებები და ინჟინერია და საინჟინრო საქმე,** ხოლო დაბალანაზღაურებადი - განათლება და ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა. საგულისხმოა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული შედეგების საფუძველზეც განათლების მიმართულებით დაქირავებით დასაქმებულთა

საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2024 წელს ყველაზე მცირე იყო (საშუალო მაჩვენებელს 59.8 პროცენტით ჩამორჩებოდა).[18]

შრომის ანაზღაურების სქესის ჭრილში გაანგარიშებით გამოვლინდა, რომ საშუალო შრომის ანაზღაურებამ ქალების შემთხვევაში შეადგინა 1,059.0 ლარი, ხოლო კაცებისათვის 1,747.0 ლარი. გარდა საშუალო მაჩვენებლისა, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მოდალური და მედიანური შრომის ანაზღაურება, რომელიც უფრო რეალურ წარმოდგენას შეგვიქმნის არსებული მდგომარეობის შესახებ.

ინტერვალური ვარიაციული მწკრივისათვის მოდა გაიანგარიშება შემდეგი მეთოდით:

$$\bar{x}_{\text{მოდ}} = x_{\text{მოდ}} + h_{\text{მოდ}} \frac{f_{\text{მოდ}} - f_{\text{მოდ}-1}}{(f_{\text{მოდ}} - f_{\text{მოდ}-1}) + (f_{\text{მოდ}} - f_{\text{მოდ}+1})}$$

კაცებისათვის მოდალური შრომის ანაზღაურების მნიშვნელობა - 1,395.2 ლარს, ხოლო ქალებისათვის 1,203.1 ლარს შეადგენს, დისბალანსი კი 16.0%-ს წარმოადგენს.

რაც შეეხება მედიანურ მნიშვნელობას, აღნიშნული საუკეთესოდ ასახავს შრომის ანაზღაურების თანასწორ განაწილებას. მედიანა ინტერვალური ვარიაციული მწკრივისათვის გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\bar{x}_{\text{მედ}} = x_{\text{მედ}} + h_{\text{მედ}} \frac{\frac{\sum f}{2} - S_{\text{მედ}-1}}{f_{\text{მედ}}}$$

შრომის ანაზღაურების მედიანური მნიშვნელობა კაცებისათვის 1,488.9 ლარს, ხოლო ქალებისათვის 933.8 ლარს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობების საფუძველზე დისბალანსი 59.4%-ს შეადგენს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია შრომის ანაზღაურების საშუალო მოდალური და მედიანური მნიშვნელობები სქესის ჭრილში.

[18] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

დიაგრამა 15: შრომის ანაზღაურება სქესის ჭრილში



დასაქმების სხვადასხვა ასპექტის ანალიზის შემდეგ მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად შეესაბამება კურსდამთავრებულთა მომზადება დამსაქმებელთა პრაქტიკულ მოთხოვნებსა და სამუშაო გარემოს რეალობას. შრომის ბაზარზე წარმატებული ინტეგრაცია მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეესაბამება პროფესიული განათლების მიღების პროცესში ჩამოყალიბებული უნარები და კომპეტენციები კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მოთხოვნებს. ეს შესაბამისობა, თავის მხრივ, პირდაპირ განსაზღვრავს პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობას და მის უნარს რეაგირება მოახდინოს შრომის ბაზრის სწრაფად ცვალებად საჭიროებებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე მოცემულია ამჟამინდელი სამუშაოს შესასრულებლად ქვემოთ წარმოდგენილი უნარების/კომპეტენციების ფლობის მნიშვნელოვნება.

დიაგრამა 16: სამუშაოს შესასრულებლად უნარების/კომპეტენციების ფლობის მნიშვნელოვნება



ზემოაღნიშნული დიაგრამის მიხედვით, ამჟამინდელი სამუშაოს შესასრულებლად კურსდამთავრებულთა უმრავლესობა სამ უნარს მიიჩნევს განსაკუთრებით მნიშვნელოვნად: პრობლემის გადაჭრის უნარს (87.6%), გუნდური მუშაობის უნარს (84.8%) და პროფესიულ უნარებს (84.2%). აღსანიშნავია, რომ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო უნარების მნიშვნელოვნება და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ უნარების საფუძვლიანი განვითარება ძლიერ დადებით კავშირშია ერთმანეთთან, რასაც ადასტურებს პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობამაც 0.93 შეადგინა. ეს მაჩვენებელი მიუთითებს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელს უწყობენ იმ უნარების განვითარებას, რომლებიც შრომის ბაზარზე პრაქტიკულად მოთხოვნადია. ამავდროულად, შედეგები ცხადყოფს, რომ პროფესიული უნარების პარალელურად

მნიშვნელოვანია საკვანძო კომპეტენციების განვითარებაც, ვინაიდან თანამედროვე შრომის ბაზარზე დასაქმების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები სულ უფრო მეტადაა დამოკიდებული როგორც პროფესიულ კვალიფიკაციაზე, ისე საკვანძო კომპეტენციების ფლობაზე.

სწავლის პროცესშიც საფუძვლიანად განვითარებულ უნარებს შორის დომინირებს გუნდურად მუშაობის უნარი (81.3%), პროფესიული ცოდნა (80.4%) და პროფესიული უნარები (79.7%). სასწავლო პროცესსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის არსებული თანხვედრა პროფესიული განათლების პრაქტიკაზე ორიენტირებული მიდგომის ეფექტიანობას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კვალიფიკაციისა და სამუშაოს შესაბამისობა.

დიაგრამა 17: კვალიფიკაციისა და სამუშაოს შესაბამისობა



კვლევის მონაცემების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა - 75.0% მიიჩნევს, რომ მისი ამჟამინდელი სამუშაო შეესაბამება პროფესიული განათლების პროცესში მიღებულ კვალიფიკაციას. თუმცა, 15.6%-მა განაცხადა, რომ მათი სამუშაო მოითხოვს უფრო მაღალ კვალიფიკაციას. გამოკითხულთა 9.4%-მა კი აღნიშნა, რომ მათი სამუშაოს შესასრულებლად საკმარისია უფრო დაბალი კვალიფიკაცია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა მიერ სამუშაოს ძიების მიზეზები.

დიაგრამა 18: სამუშაოს ძიების მიზეზები



კვლევის კიდევ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა სამსახურის ძიების გამოცდილების შეფასება. შედეგების თანახმად, გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 32.9% კითხვარის შევსების მომენტისთვის აქტიურად ეძებდა სამსახურს. როგორც გამოიკვეთა, სამსახურის ძიების მიზეზები უმთავრესად კარიერული ხასიათისაა. იმ რესპონდენტთა დიდი ნაწილი (28.7%), რომლებიც გამოკითხვის მომენტისათვის აქტიურად ეძებდნენ სამსახურს, სამსახურის ძიებას ანაზღაურების გაუმჯობესების სურვილით ხსნის. მეორე უმსხვილეს ჯგუფს (25.9%) კარიერული განვითარების შესაძლებლობების ძიება ამოძრავებს, ხოლო მესამე ჯგუფი (20.6%) სპეციალობის შესაბამის პოზიციას ვერ პოულობს. მიმდინარე უმუშევრობა, როგორც პირდაპირი მიზეზი, რესპოდენტთა 16%-მა დაასახელა.

შემდგომი გეგმები

კურსდამთავრებულების კარიერული ორიენტაციისა და სამომავლო გეგმების შესაფასებლად, კვლევა ითვალისწინებდა კარიერული განვითარების ასპექტების განსაზღვრასაც.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი კარიერულ განვითარებაში დაგეგმილი ცვლილებების ტიპის მიხედვით.

დიაგრამა 19: კურსდამთავრებულთა პროცენტული წილი დაგეგმილი ცვლილებების ტიპის მიხედვით, %



ზემოაღნიშნული დიაგრამა მრავალფეროვან სურათს წარმოაჩენს და მიუთითებს, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა აქტიურ კარიერულ ცვლილებებზეა ორიენტირებული. კერძოდ, გამოკითხულთა 21.0% არ აპირებს ცვლილებას, 26.3% გეგმავს მიმდინარე სამუშაო ადგილზე დაწინაურებას, 20.2% - საკუთარი ბიზნესის დაწყებას, 19.5% - სამსახურის დაწყებას, ხოლო 13.7% - სამსახურის შეცვლას. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 18.8% სწავლის გაგრძელებას გეგმავს.

კურსდამთავრებულთა კმაყოფილებისა და დასაქმების გარდა, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პროგრამის დასრულების შემდგომი საჭიროებების განსაზღვრასაც, რომელიც მომავალი სასწავლო და პროფესიული მხარდაჭერის დაგეგმვის საფუძველს ქმნის.

ცხრილი 7: კურსდამთავრებულთა საჭიროებები

	დიახ, იგივე ან მომიჯნავე მიმართულებით	დიახ, სხვა მიმართულებით	არა
პროფესიული ტრენინგები/შემდგომი გადამზადების კურსები	33.3	16.7	50.0
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება	30.6	16.8	52.6
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	29.1	14.2	56.7

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმეტეს ნაწილს პროგრამის დასრულების შემდეგ არ ჰქონდა როგორც უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ისე პროფესიულ ტრენინგებსა და შემდგომი გადამზადების კურსებზე სწავლის გაგრძელების საჭიროება. აღნიშნული შესაძლოა მიუთითებდეს, რომ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამა კურსდამთავრებულთა ნაწილისთვის ამჟამინდელ პროფესიულ მიზნებს პასუხობს.

ამასთანავე, გამოვლინდა, რომ კურსდამთავრებულთა შორის ყველაზე მაღალი მოთხოვნა პროფესიულ ტრენინგებსა და გადამზადების კურსებზე იმავე ან მომიჯნავე მიმართულებით ფიქსირდება. ეს ტენდენცია მიუთითებს, რომ კურსდამთავრებულები პროფესიულ განვითარებას უწყვეტ პროცესად განიხილავენ.

გარდა ცალკეული ასპექტისა მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი შეფასება მათი მიზნების მისაღწევად.

დიაგრამა 20: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, %



კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ძალიან სასარგებლო იყო, როგორც პიროვნული განვითარებისთვის, ისე ადეკვატური სამუშაოს მოძიებისთვის. თუმცა, გამოკითხულთა 6.0%-მა დააფიქსირა, რომ მის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ამჟამინდელ სამსახურში სამუშაოს ეფექტიანად შესრულებისათვის საერთოდ არ იყო სასარგებლო.

საერთო შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლამ დადებითი გავლენა იქონია კურსდამთავრებულთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე. გაიზარდა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის დონე და გამოიკვეთა პროფესიული განათლების პრაქტიკულ მოთხოვნებზე ორიენტირებული მიდგომის ეფექტიანობა.

დასკვნა და რეკომენდაციები

2024 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პროფესიული განათლება დიდი პოპულარობით სარგებლობს, როგორც ზოგადი, ასევე, უმაღლესი განათლების მქონე პირებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 52 საგანმანათლებლო დაწესებულების 4196-მა კურსდამთავრებულმა. კურსდამთავრებულთა გამოპასუხების დონემ 43.9% შეადგინა.

კვლევის შედეგების მიხედვით:

- კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი თბილისსა (31.5%) და აჭარაში (20.4%) იყო კონცენტრირებული.
- კურსდამთავრებულთა სქესის მიხედვით განაწილება შედარებით დაბალანსებულია, კაცების პროცენტული წილი 52.3% -ს შეადგენს.
- წინარე განათლების მიღწეული დონის მიხედვით კურსდამთავრებულთა უმეტესობა საშუალო განათლების მქონეა (41.6%), თუმცა, პროფესიული განათლება აქტუალურია უმაღლესი განათლების მქონე პირებისთვისაც (19.4% ბაკალავრი, 6.8% მაგისტრი).
- **გამოკითხულთა უმრავლესობა - 94.4% სრულიად კმაყოფილია ან კმაყოფილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლით.**
- გამოკითხულთა 82.2% სრულიად დარწმუნებულია, რომ არჩევანის ხელმეორედ გაკეთების შემთხვევაში, კვლავ აირჩევდა იმავე საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო 84.7% იმავე საგანმანათლებლო დაწესებულებას.
- ყველაზე მეტი კურსდამთავრებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების არჩევის მთავარ მიზეზებად საინტერესო საგანმანათლებლო პროგრამას (88.0%), პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი

დაწესებულების კარგ რეპუტაციას (84,2%) და სწავლის საფასურის არარსებობას/უფასო სწავლას (84,1%) ასახელებს.

- სასწავლო გარემოსა და სწავლების პროცესს უმრავლესობა ძალიან დადებითად აფასებს, განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის (89.6%), სწავლის ხარისხისა (86.7%) და სასწავლო მასალების-აღჭურვილობების (მაგ. ლაბორატორია, წიგნები, ინტერნეტზე წვდომა, ბიბლიოთეკა და ა.შ.) ხელმისაწვდომობის (82.0%) თვალსაზრისით.
- კურსდამთავრებულებს სწავლის პროცესში ყველაზე მეტად განუვითარდათ გუნდური მუშაობის უნარი (81.3%), პროფესიული ცოდნა (80.4%) და პროფესიული უნარები (79.7%).
- 2024 წლის კოჰორტის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სწავლის დასრულების შემდეგ: დაუსაქმებელთა წილი 37.8%-დან 21.3%-მდე შემცირდა.
- იმ პროფესიულ სტუდენტთაგან, რომლებიც სწავლის დაწყებამდე არ იყვნენ დასაქმებულები, ნახევარზე მეტი (56.0%) დასაქმდა სწავლის დასრულების შემდგომ, ხოლო იმ პროფესიულ სტუდენტთაგან, რომლებიც მხოლოდ სხვა მიმართულებით იყვნენ დასაქმებული, 17.8% საკუთარი სპეციალობის შესაბამის სამუშაოზე გადავიდა.
- **2024 წლის კოჰორტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელმა 78.7% შეადგინა. დასაქმებულთა შორის 57.5% კაცია, ხოლო 42.5% ქალი.**
- კურსდამთავრებულთა სექტორული განაწილების მიხედვით, **გამოკითხულთა 15.4% თვითდასაქმებულია (საკუთარ ბიზნესს ან ორგანიზაციას მართავს).**
- დასაქმების წამყვანი სექტორებია: განათლება (12.3%), ბიზნესი და ადმინისტრირება (10.8%).

- **დასაქმებულ რესპონდენტთა 43.8% პროგრამის დასრულების შემდეგ დაწინაურდა.**
- **სწავლის დასრულების შემდეგ, დასაქმებული კურსდამთავრებულების 53.3%-ის თანახმად, მათი შრომის ანაზღაურება გაიზარდა.**
- კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია დაბალ და საშუალო რგოლის პოზიციაზე.
- კურსდამთავრებულთა საშუალო ანაზღაურებამ 1,447.6 ლარი შეადგინა.
- ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დასაქმების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება. ყველაზე დაბალია 19 წლამდე ასაკობრივი ჯგუფისათვის (46.9%), ხოლო ყველაზე მაღალია 41 წლისა და უფროსი ასაკის კურსდამთავრებულებისათვის (89.6%).
- ისეთ დარგებში, როგორიცაა ინჟინერია და საინჟინრო საქმე, ტრანსპორტის მომსახურებები, არქიტექტურა და მშენებლობა, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, სპორტი, დასაქმებულთა უმრავლესობას კაცები წარმოადგენენ.

კურსდამთავრებულთა კვლევის მონაცემთა ანალიზის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- **პროფესიული განათლების პოპულარიზაცია:** მიზანშეწონილია პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა, მათ შორის მისი კარიერული და ეკონომიკური უპირატესობების შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული კომუნიკაცია, რაც ხელს შეუწყობს სისტემისადმი დაინტერესებისა და ჩართულობის ზრდას.
- **სასწავლო პროცესს მიღმა დაგეგმილი დამატებითი აქტივობების ხელმისაწვდომობისა და მრავალფეროვნების გაძლიერება:**

რეკომენდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის მიღმა დაგეგმილი დამატებითი აქტივობების გაფართოება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებში საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, გაზრდის მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში და მოამზადებს მათ შრომის ბაზარზე წარმატებული ინტეგრაციისთვის. ასევე, რეკომენდებულია უცხო ენებისა და კომპიუტერული უნარების განვითარებაზე ორიენტირება.

- **კარიერული კონსულტირების გაძლიერება:** მნიშვნელოვანია კარიერული მხარდაჭერის სერვისების ინსტიტუციური გაძლიერება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს უფრო მიზანმიმართულად განსაზღვრონ პროფესიული მიმართულება და წარმატებით ინტეგრირდნენ შრომის ბაზარზე.
- **რეკომენდებულია დაწესებულებებში ქალთა საჭიროებებზე ორიენტირებული** დამატებითი ხელშემწყობი მექანიზმების/ ინსტრუმენტების გაძლიერება.
- **რეგიონული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება:** მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს განათლებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფას სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მოსახლეობისთვის. ასევე, მნიშვნელოვანია სტუდენტთა საერთო საცხოვრებლების განვითარება, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის.